გზა საქართველოს ეკონომიკის ლარიზაციიდან „გლობალურამდე“



უშანგი სამადაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სახელმწიფოს სიძლიერე იზომება არა ჯარისკაცების რაოდენობითა და ზარბაზნების საცეცხლე სიმძლავრეებით, არამედ, ეროვნული ვალუტის სიმყარით. სერგეი ვიტე (1849-1915)-რუსი ეკონომისტი, რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ეროვნული ეკონომიკების დოლარიზაცია ერთ-ერთი უმწვავესი და აქტუალური პრობლემაა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

ეს იმიტომ, რომ დოლარიზაციის მაღალი დონის პირობებში, ანუ, როდესაც საბანკოტო დოლარიზაცია აღემატება 30%-ს (საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 100%-ის ტოლია), ხოლო, სადეპოზიტო და საკრედიტო დოლარიზაცია – 50%-ს (საქართველოში ეს მაჩვენებელი 75%-ია), ქვეყანა კარგავს არა მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობას, არამედ, აპრიორი (ავტომატურად) ღებულობს ვალუტის ემიტენტი ქვეყნის ყველა პრობლემას. სხვა სიტყვებით, **დოლარიზაციას მივყავართ იქამდე, რომ დოლარის საბეჭდი დაზგის მეპატრონის (ანუ, აშშ-ის) პრობლემები გადაიქცევა დოლარის მფლობელთა პრობლემებად**. ასე, მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის დოლარებში დენომინირებული დანაზოგების ღირებულებაზე უშუალო გავლენას ახდენს კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში საიპოთეკო ბაზარზე, საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის დონე და მრავალი სხვა და პლიუს საქართველოში არსებული ვითარება. ამიტომაა, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის გამო დოლარის ყიდვისუნარიანობა საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე, აშშ-ი. სხვაგვარად, დოლარი აშშ-ი მყარია, მის ფარგლებს გარეთ კი შედარებით გაუფასურებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა – რა არის ეკონომიკის დოლარიზაცია და საჭიროა თუ არა მის წინააღმდეგ ბრძოლა? ამ კითხვაზე პასუხისთვის საჭიროა პასუხი გავცეთ მორიგ კითხვაზე – **გვინდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?** თუ **„კი“**, მაშინ, დოლარიზაციასთან ბრძოლა აუცილებელია, რამდენადაც მისი დონის შემცირება ამაღლებს ქვეყნის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს, უზრუნველყოფს ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტას და ქვეყნის მდგრად პოზიციას გარე ფინანსური შოკების მიმართ. მეტიც, დოლარიზაციის დაბალი დონე მონეტარულ ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს უფრო ეფექტიანად გაატაროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

რა არის დოლარიზაცია? დოლარიზაცია არის “გაქცევა” ეროვნული ვალუტისგან დოლარის, ან სხვა უცხოური ვალუტისკენ საზღვრების გადაუკვეთავად. ეს მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როდესაც დოლარი უფრო სტაბილური და კონვერტირებადია, ვიდრე, ეროვნული ვალუტა. **დოლარიზაციაში მოიაზრება დოლარის მიერ ეროვნული ვალუტის (ლარის) როგორც მიმოქცევის საშუალების, ღირებულების საზომისა და დაგროვების საშუალების შეზღუდვა, ან, მთლიანად განდევნა ბრუნვიდან**. სხვა სიტყვებით, დოლარიზაცია არის ლარის დოლარით ჩანაცვლების პროცესის მასშტაბების ზრდა. უფრო მარტივად, დოლარიზაცია არის დოლარის მიერ ლარის ფუნქციებისა და გავრცელების არეალის უზურპაციის (მიტაცების) პროცესი. **უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეროვნულ ვალუტას შეიძლება ავიწროებდეს არა მხოლოდ აშშ დოლარი, არამედ ევრო, ავსტრალიური, ახალზელანდიური დოლარი და რუსული რუბლიც კი. მაღალი დოლარიზაციის პირობებში** უცხოური ვალუტა ფაქტიურად ავიწროებს ეროვნულ ფულის ნიშანს, **დაბალი დოლარიზაციის დროს** კი ფუნქციონირებს ეროვნულ ვალუტასთან ერთად.

რა არის ეკონომიკის დოლარიზაციის ამოსავალი ისტორიული მიზეზი და რა განაპირობებს მას? დოლარიზაციის ამოსავალი ისტორიული მიზეზია სადოლარე ხელისუფლების პოლიტიკა. ეს მოვლენა შეინიშნება მსოფლიო წესრიგის დამყარების შემდეგ, რომელიც საჯაროდ იქნა დეკლარირებული აშშ-ის საკურორტო ქალაქ ბრეტონ-ვუდსში 1944 წელს და რომელიც მიზნად ისახავდა დოლარის ზონის გაფართოებას. **დოლარიზაციის ძირითადი ეკონომიკური მიზეზი ისაა**, რომ აგენტები ეროვნულ ვალუტასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ დოლარს. ეს მოვლენა თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც დოლარი უფრო სტაბილური და კონვერტირებადია, ვიდრე, ეროვნული ვალუტა. **ეკონომიკის დოლარიზაციის უშუალო მიზეზი**

კი არის ხელისუფლების სუსტი კონტროლი ფულის მიწოდებაზე, რის გამოც ეროვნული ვალუტა მუდმივად უფასურდება. ამიტომ, აგენტებს არ სურთ აქტივების გაჩერება ეროვნულ ვალუტაში და თავიანთი აქტივების პორტფელის ოპტიმიზებას ახდენენ დოლარის სასარგებლოდ. **უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის დოლარიზაციას განაპირობებს ქვეყანაში არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები: ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა; ინფლაცია; ვალუტის კურსის რყევები; ლიკვიდური სასაქონლო მასით ეროვნული ვალუტის არასაკმარისად უზრუნველყოფა; მოსახლეობის დაბალი ნდობა საკუთარი ვალუტისადმი და მრავალი სხვა. აქვე შევნიშნავთ, რომ საშიშია არა უბრალოდ დოლარიზაცია (რამეთუ დოლარიზაცია მეტნაკლებად არსებობს ყველა ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნაში), არამედ, ზომას გადაცილებული დოლარიზაცია. ამიტომ, აქტუალურია არა საერთოდ დოლარიზაციის 100%-ით აღმოფხვრა, არამედ, მისი შეზღუდვა და ზომის ფარგლებში მოქცევა.**

ისმება კითხვა: დოლარიზაციის რა სახეობები არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში? საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, დოლარიზაცია ეკონომიკის მოცვის მიხედვით შეიძლება იყოს ნაწილობრივი და სრული. **ნაწილობრივი დოლარიზაცია შეინიშნება** ინდონეზიაში, თურქეთში, მოლდოვაში, რუსეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში და აზიის ქვეყნებში. **სრულად დოლარიზებულია ქვეყნები**, რომლებმაც მაღალი ინფლაციისა და ქვეყანაში დაგროვილი პრობლემების მოუგვარებლობის გამო უარი თქვეს საკუთარ ეროვნულ ფულზე **(პანამა, ეკვადორი, სალვადორი)**.

იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით, არსებობს, ასევე: **გადახდების დოლარიზაცია**, რაც გულისხმობს ქვეყნის შიგნით დოლარის, ან ნებისმიერი უცხოური ვალუტის გამოყენებას სავაჭრო ანგარიშსწორებისთვის. **ფინანსური დოლარიზაცია, რომელიც** ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მოსახლეობა თავის დანაზოგს აკეთებს უცხოურ ვალუტაში, ხოლო, სავაჭრო ოპერაციის დროს, უპირატესობას ანიჭებს ეროვნულ ფულის ნიშანს. **მესამე მეთოდია რეალური დოლარიზაცია,** რომლის დროსაც ხელფასი გაიცემა დოლარებში, სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების უმრავლესობის ღირებულება გამოისახება უცხოურ ვალუტაში და მათზე ანგარიშსწორების უდიდესი ნაწილი, ასევე, უცხოურ ვალუტაში ხორციელდება.

საქართველოსთვის ცნობილია დოლარიზაციის ზემო ხსენებული სამივე სახეობა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჰიპერინფლაციისა და ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში გავრცელებული იყო შიდა დოლარული ანგარიშსწორება პლიუს ხელფასებისა და ფასების მიბმა დოლარებზე. მაშინ, დოლარიზაცია კუპონის ღირებულების დაცემის გამო ინფლაციის რისკების გარკვეულ ნიველირებას ახდენდა და იცავდა მოსახლეობის დანაზოგებს. ასე, რომ იმდროინდელი დოლარიზაციის მიზეზები უნდა ვეძიოთ ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტში, რაც იფარებოდა საბეჭდი მანქანის ამოქმედებით, რასაც შედეგად მოჰყვა ფასების თავშეუკავებელი ზრდა და ეროვნული გარდამავალი ფულის (კუპონის) გაუფასურება. ლარის შემოღებამ და მისმა სტაბილურმა კურსმა კი გარკვეულწილად ხელი შეუწყო დოლარიზაციის შემცირებას: შიგა გადახდები თანდათანობით გადავიდა ლარებში, საქონელზე და მომსახურებაზე დიდი ხანია ფასები გამოისახება ლარებში. აგრეთვე, თუ 2002 წელს სადეპოზიტო და საკრედიტო დოლარიზაცია შეადგენდა 85%-ს, ამჟამად ეს მაჩვენებელი 75%-ის ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ დოლარიზაცია არ არის ცალსახად უარყოფითი მოვლენა. დოლარიზაცია, ანუ, სუვერენული სახელმწიფოს ფულის მიმოქცევაში უცხოური ვალუტის გამოყენება, ეკონომიკაზე ახდენს როგორც დადებით, ისე, უარყოფით გავლენას. **დოლარიზაციის დადებითი მხარე ის არის, რომ** ამცირებს ინფლაციას, ხელს უწყობს სავალუტო ოპერაციებს, ეროვნული ეკონომიკის ღიაობას და ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკასთან და სხვა. **მისი სუსტი მხარე კი ის არის**, რომ დოლარიზაცია ართმევს ეროვნულ ფინანსურ ხელისუფლებას საემისიო შემოსავლის ანუ სენიორაჟის მნიშვნელოვან ნაწილს; ცენტრალური ბანკი კარგავს ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციას; ძნელდება დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ილახება ქვეყნის სუვერენულობა, რამეთუ ეროვნული ფული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია ჯართან, დროშასთან, ღერბთან და ჰიმნთან ერთად. ამასთან, მწვავდება საბანკო სისტემის ლიკვიდობის პრობლემა.

როგორია დოლარიზაციის ბიოგრაფია და გეოგრაფია? დოლარიზაცია 1999 წლამდე არსებობდა დე-ფაქტო მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ასევე, პოსტსოციალისტურ სივრცეში, მაგრამ ეროვნული ვალუტის იურიდიული გაუქმება წარმოადგენდა ნაკლებშესაძლებელს. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ **პანამამ** ჯერ კიდევ 1904 წლიდან დაიწყო **კოლუმბიის პესოს** მაგიერ აშშ-ის დოლარის გამოყენება. ასევე, **ეკვადორი** (ნავთობის მსხვილი ექსპორტიორი), რომელმაც 2000 წლიდან დაიწყო **ეკვადორიის სუკრეს** მაგიერ აშშ-ის დოლარის გამოყენება; **სალვადორი,** რომელიც 2001 წლიდან **სალვადორის კოლონის** გამოყენებიდან გადავიდა დოლარზე და მისი წყალობით გახდა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ქვეყანა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებს შორის. XX საუკუნის 90-იან წლებში კი დოლარიზაციამ მოიცვა მთელი პოსტსაბჭოური სივრცე.

როგორ ზომავენ დოლარიზაციას? დოლარიზაციის მაჩვენებლებს ზომავენ რამდენიმე მეთოდით. ყველაზე მარტივია–უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროცენტული ფარდობა მთლიან საბანკო დეპოზიტებთან. ან კიდევ, უცხოური სავა-

ლუტო დეპოზიტების პროცენტული ფარდობა ფულად მასასთან. თუმცა, ორივე მეთოდი მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავს ეკონომიკის დოლარიზაციას, რამდენადაც უცხოური ვალუტის ნაწილი ხელზე აქვს მოსახლეობას ბანკნოტების სახით და გვეკლინება საბანკნოტო დოლარიზაციით.

ჩვეულებრივ, სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკების დოლარიზაცია ხორციელდება ეტაპობრივად, ესაა: **1. სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკაში აშშ-ის ნაღდი დოლარებით ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების ფუნქციის შესრულება; 2.ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სადოლარე ანგარიშების გახსნა კომერციულ ბანკებში; 3.მეურნე სუბიექტების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ფორმირება აშშ-ის დოლარებში; 4.სავალუტო მართვა; 5.სრული დოლარიზაცია, ანუ, აშშ-ის დოლარის, როგორც კანონიერი გადახდის საშუალების მიმოქცევა სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკაში.**

კონკრეტულად რა იგულისხმება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაციაში? საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციაში იგულისხმება: 1. საბანკნოტო დოლარიზაცია, ანუ, საქართველოს შიგნით საბანკო სისტემის მიღმა არსებული ნაღდი დოლარის მოცულობა; 2. სადეპოზიტო დოლარიზაცია, ანუ, საქართველოს ბანკებში დოლარში დენომინირებული დეპოზიტები; 3. საკრედიტო დოლარიზაცია, ანუ, საქართველოს ბანკების მიერ დოლარებში გაცემული კრედიტები; 4. საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთის ბანკებში დოლარებში დენომინირებული დეპოზიტები.

რა პრობლემებსა და უხერხულობებს ბადებე დოლარიზაცია საქართველოში? ქართულ სამეურნეო ორგანიზმში უცხოური სისხლის (დოლარის) დომინირება, ანუ **ეკონომიკის ლარიზაციის დაბალი დონე წარმოშობს რიგ სირთულეებსა და პრობლემებს, კერძოდ**: 1. გაძნელებულია მიმოქცევაში არსებული ფულის მასის განსაზღვრა; 2. გაძნელებულია ეკონომიკური პროგნოზირება და ქმედითი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; 3. შეზღუდულია ლარის მიმოქცევისა და დაგროვების ფუნქცია და სტიმულირდება ჩრდილოვანი ეკონომიკა; 4. გაძნელებულია ეროვნული ბანკის მიერ ლარის მასის გაზრდით (ან შემცირებით) საკრედიტო განაკვეთზე ზემოქმედება და ამის საფუძველზე ინვესტიციური აქტიურობის წახალისება (ან შეზღუდვა); 5. გაზრდილია ეკონომიკური საფრთხეები და შელახულია ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტი;. 6. საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო კარგავს ფულის ემისიიდან შემოსავალს, ანუ, სენიორაჟს (ემიტირებული ფულის ნომინალურ ღირებულებასა და მის გამოცემაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობა) და სხვა.



ჩამოთვლილი და სხვა უხერხულობების თავიდან აცილება ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი საზრუნავია. ამის გამოა, რომ მონეტარიზაციის პრობლემატიკის მიმართ შეინიშნება დიდი ინტერესი, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკის მონეტარიზაციის (ლარიზაციის) ზრდის პრობლემა გარდამავალი პერიოდის, საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით მაინც ნაკლებად შესწავლილ სფეროდ ითვლება.

რას ნიშნავს საქართველოს ეკონომიკის დედოლარიზაცია, ანუ, ლარიზაცია? – უწინარეს ყოვლისა, ლარისადმი ჭეშმარიტი ნდობის ფორმირებას, ლარის თავის ფუნქციებში აღდგენას, მოქმედების არეალის გაფართოებასა და ეროვნულ ფულში დეპოზიტებისა და კრედიტების ზრდას. ლარიზაცია იძლევა ახალ შესაძლებლობებს მათთვის, ვისაც რისკების შემცირება სურს, რადგან, არაა დამოკიდებული ვალუტის კურსის ცვალებადობაზე. შესაბამისად, დეპოზიტი ლარში გაცილებით არა სარისკო, მომგებიანი და პროგნოზირებადია, ვიდრე, დოლარი. თუმცა, ლარის კურსის ბოლოდროინდელი რყევები ნამდვილად არახელსაყრელ ფონს ქმნის ლარიზაციაზე სასაუბროდ.[1]

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ეროვნული ეკონომიკის ლარიზაციის მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი, მისი დაბალი დონის გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გამოვლენა, ასევე, ნეგატიური შედეგების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათ-

1 ვითარება საბანკო სექტორში უკეთესობისკენ იცვლება. „ბიზნესი და ფინანსები“. 2010 წ. №64

ვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაა.

დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე სამეურნეო პრაქტიკის გაცნობამ დაგვანახა, რომ **ეკონომიკის დედოლარიზაციას აფერხებს ეროვნულ ფულზე, ლარზე დაბალი ოპერაციული და სპეკულაციური მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია რიგი მიზეზებითა და ფაქტორებით. ესაა:**

1. არამდგრადი და არაპროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. ბუნებრივია, როცა გარედან აგრესიის საფრთხე არსებობს, მოსახლეობაც და ფირმებიც ცდილობენ თავიანთი ფულადი რესურსები ისეთ აქტივებში განათავსონ, რომ რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგი მიიღონ. ცხადია, ამ მიმართებით აშშ-ის მთავრობისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის გარანტიები უფრო ძლიერია, ვიდრე, საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკისა;

2. საქართველოს მშპ-ის მცირე მოცულობა და მოსახლეობის დაბალი შემოსავლები (ასე მაგალითად, საქართველოში 2008 წელს წარმოებული იქნა 19069 მლნ ლარის ნომინალური მშპ-ი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 2923 აშშ დოლარს); საქართველოში საშუალო ხელფასი რუსეთის ფედერაციის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 60%-ია. ამის გამოა, რომ საქართველოს მოსახლეობის 41% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ე. ი. მათი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში რაიმე დანაზოგზე ლაპარაკი ზედმეტია. არადა, ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებიდან გამომდინარე, ქვეყანა მყარად ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარსებო მინიმუმს დაბლაა მოსახლეობის მაქსიმუმ 10%–ის შემოსავლები და მისი მოქალაქეები გამოიმუშავებენ იმდენ შემოსავალს (მოსახლეობის ერთ სულზე არა ნაკლებ 5000 აშშ დოლარი), რომლითაც, ერთის მხრივ, უზრუნველყოფენ ბაზარზე მდგრად მოთხოვნას და, მეორეს მხრივ, ქმნიან დანაზოგებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი მფლობელების სასარგებლოდ და ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასაფინანსებლად;

3. **სამომხმარებლო კალათაში ქართული პროდუქციის 25%-იანი წილი და სამამულო ექსპორტზე დაბალი მოთხოვნა.** საქართველოს მცირე შიდა ბაზარი აქვს და ამიტომ მისი ეკონომიკური ზრდა ბევრად არის დამოკიდებული საგარეო მოთხოვნაზე ანუ, ექსპორტზე. ამიტომ, საჭიროა: ექსპორტის სტიმულირება, ოპტიმიზება (რესურსების შემცირება და მზა პროდუქციის ზრდა), დივერსიფიკაცია და იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკის წარმოება**;**

4. **ლარისადმი დაბალი ნდობა**. ელემენტარულია, რომ ფული მაშინ არის სანდო, როდესაც მზად ხართ გრძელვადიანი დანაზოგი მასში განათავსოთ. სტატისტიკური მონაცემებით, ფიზიკური და იურიდიული პირების გრძელვადიანი დეპოზიტების 90 პროცენტზე მეტი აშშ დოლარსა და ევროშია განთავსებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტა მოსახლეობაში ნდობის ძალზე დაბალი კოეფიციენტით სარგებლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის მთლიანი დეპოზიტების 71% დოლარებშია დენომინირებული, ხოლო სესხების 76% დოლარებშია გაცემული.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლარისადმი დაბალ ნდობას აქვს ობიექტური საფუძველი, რამეთუ ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ ორჯერ იწვნია ჰიპერინფლაციის მწვავე შედეგები. გავიხსენოთ, 1992 წელს ჯერ რუსული რუბლის დევალვაცია, ხოლო, 1994 წელს საქართველოს გარდამავალი ფულადი ერთეულის – კუპონის გაუფასურება. საანალიზო პერიოდში ერთდროულად ტრიალებდა აშშ დოლარი, რუსული რუბლი და კუპონი. **აშშ დოლარზე იყიდებოდა** უძრავი ქონება (ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი, ავტომობილი და სხვა), **რუსულ რუბლზე** – ხანგრძლივი მოხმარების საგნები და **კუპონებზე** – ნორმირებული საქონელი (პური, კარაქი, ხორცი). 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ვითარება იცვლება. ლარი გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალებაა საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ლარმა ჩაინაცვლა კუპონისა და რუბლის გადახდის ფუნქციები. სამომხმარებლო ბაზარზე, რაც ადრე კუპონებსა და რუბლებში იყიდებოდა, ახლა ლარში იყიდება. ლარმა გაიფართოვა თავისი პლაცდარმი დოლარის, ანუ, დაგროვების მიმართულებითაც, თუმცა, ეს წარმატება ჯერ-ჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია, რამეთუ, საბანკო სისტემის მთლიანი დეპოზიტების მხოლოდ 29%-ია ლარებში, ხოლო დანარჩენი 71% კი დოლარებშია დენომინირებული;[2]

5. ქვეყნის ერთობლივი მოთხოვნის დიდი ნაწილი მის ფარგლებს გარეთ იქმნება. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს, როგორც უმუშევრობის მაღალი დონის და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყანას, საერთაშორისო ბაზარზე იაფი სამუშაო ძალის მიმწოდებლის როლი აკისრია, რაც ქვეყანაში ლეგალური და არალეგალური სავალუტო შემოსავლების მოდინებას იწვევს;

6. თითქმის ყველა კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს. ბანკების უმეტესობაში უცხოური კაპიტალის წილად მოდის აქციების საკონტროლო პაკეტი. ე.ი. ფაქტობრივად საქართველოში საბანკო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გარედან მოზიდული რესურსების ხარჯზე ყალიბდება, რაც დიდწილად განაპირობებს იმას, რომ როგორც **ფიზიკური, ისე იურიდიული პირების დეპოზიტები და კომერციული ხასიათის კრედიტები დოლარებშია დენომინირებული;**

7. არარაციონალურია კერძო სექტორზე გაცემული მთლიანი სესხების დარგობრივი სტრუქტურა. ასე მაგალითად, 2010 წლის 1 აპრილის მონაცემებით, საბანკო სექტორის მიერ გაცემული კრე-

2 მანანა ვარდიაშვილი, ლარი დოლარის წინააღმდეგ. გაზეთი „24 საათი“, 2 მაისი, 2010 წელი.

დიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი 47%-იანი წილი ვაჭრობის სფეროზე მოდის. არსებითად ეს არის ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები **„ე.წ. ჩემოდნის ბიზნესისთვის“**, რაც ხელს უწყობს იმპორტის დაფინანსებას, ანუ, სავალუტო ნაკადის გადინებას და სამუშაო ადგილების შექმნას არა საქართველოში, არამედ, იმ ქვეყნებში, სადაც იწარმოება ეს იმპორტული პროდუქცია; მრეწველობაზე მოდის გაცემული სესხების 22%, მშენებლობაზე კი – 11%. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა აგროსექტორის დაკრედიტების კუთხით. იმის გათვალისწინებით რომ, აღნიშნული სფერო მაღალი რისკებითა და არარენტაბელობით ხასიათდება, ბანკები სოფლის მეურნეობის საწარმოებზე სესხების გაცემისგან თავს იკავებენ. ეს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს!) და მისი განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი მრეწველობისთვის. დაკრედიტების დარგობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, რომ ქართული ბანკების ამჟამინდელი საკრედიტო პოლიტიკა ცალსახად ემსახურება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, რამეთუ, როგორც დავინახეთ, გაცემული სესხების თითქმის ნახევარი კვლავ ვაჭრობაზე, ანუ, იმპორტის დაფინანსებაზეა ორიენტირებული;

9. მაღალი დოლარიზაციის ქვეყნები კრიზისის პირობებში რისკის წინაშე დგანან, რადგან, მოსახლეობას შემოსავალი ლარში აქვს, კრედიტის გადახდა კი დოლარში უწევს. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკები მაღალია. სწორედ ამიტომ ქვეყანაში ოპერირება ეროვნული ვალუტით – ლარით უნდა მოხდეს.

როგორ შევებრძოლოთ დოლარიზაციას? მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის დედოლარიზაციის მიზნით გამოიყენება როგორც საბაზრო, ისე, ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფოებრივი მეთოდები. უნდა აღინიშნოს, რომ დოლარის ლარით ჩანაცვლება, ანუ, ლარიზაცია არ არის ხელის ერთი დაკვრით გადაწყვეტადი პრობლემა. იგი გარკვეულ დროსა (ოცი და მეტი წელი) და სახსრებს მოითხოვს. ამ მხრივ პოზიტიური გამოცდილება აქვს ისრაელს. ასე მაგალითად, ისრაელში დოლარიზაცია 1995 წელს 80%-ს შეადგენდა. მის 40%-მდე შემცირებას კი 20 წელი დასჭირდა.

საქართველოს ეკონომიკის დედოლარიზაციის, ანუ, ლარიზაციისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია:

• მდგრადი და პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ლარისადმი ნდობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს უკანასკნელი, ტრანზიტული ფუნქციის გაფართოებასთან ერთად, ხელს შეუწყობს თანამედროვე ეკონომიკაში დომინირებადი მესამეული სექტორის (მომსახურება, ტურიზმი) განვითარებას, რაც მოგვცემს დაახლოებით 100000 ახალ სამუშაო ადგილს და გაზრდის ლარზე მოთხოვნას. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე შინამოსამსახურეა უცხოეთში. სჯობს მათ იგივე საქმე თავის სამშობლოში აკეთონ და თან ოჯახს მიხედონ;

• კონკურენტუნარიანი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვა;

• არა ის, რომ ეკონომიკას რაც შეიძლება მეტი ლარი მიეწოდოს, არამედ, მხოლოდ იმდენი მიეწოდოს, რამდენზეც მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში წახალისდება ინფლაცია, რაც გამოიწვევს ლარზე მოთხოვნის შემცირებას და დოლარიზაციის ზრდას;

• საქართველოს საბანკო სექტორის ეკონომიკის განვითარების შემაფერხებლიდან საწარმოთა ძირითად ფინანსურ აგენტებად გადაქცევა. მათ თავიანთი მოგება უნდა გაზარდონ ერთობლივად. აქ საჭიროა გამოირიცხოს დაპირისპირება და ჩამოყალიბდეს პარტნიორული ატმოსფერო, რომელიც განვითარების ძირითადი გარანტიაა;

• საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობა, როგორც გეოგრაფიული, ისე დარგობრივი თვალსაზრისით, ასევე, იაფი სესხების მიმართვა ეროვნული მეურნეობის ისეთი პრიორიტეტული დარგებისაკენ, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა, რამეთუ დღეს სწორედ ამ დარგებს ესაჭიროებათ ყველაზე მეტად ფინანსური მხარდაჭერა!

• გირაოს ბაზის გაფართოება, ანუ ე.წ. მეორადი გადაგირავება. კერძოდ, კომერციული ბანკი ეროვნული ბანკისგან მისაღები საკრედიტო რესურსის უზრუნველყოფაში დებს საკუთარ აქტივს, სესხს, რომლის გაცემისას მას შესაბამისი ქონება აქვს უზრუნველყოფაში მიღებული;

• ეროვნული ფინანსური ბაზრების განვითარება, ეროვნულ ვალუტში გამოხატული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა, კორპორაციული ფასიანი





ქაღალდების ბაზრის განვითარება და სხვა. ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ ეროვნულ ვალუტის დანაზოგების ფორმირებისთვის ალტერნატივა.

ამგვარად, ლარიზაცია არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც სერიოზულ სახსრებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, რაციონალურ და თანმიმდევრულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ხელისუფლების სამივე შტოსა და ეროვნული ბანკის კოორდინირებულ საქმიანობას მოითხოვს.

და ბოლოს, ლარიზაცია თვითმიზანი კი არ არის, არამედ, საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა. ჩვენის აზრით, ლარიზაცია ამავდროულად არის, არც ისე შორეულ მომავალში ზენაციონალური ემიტენტის მიერ გამოშვებული, გლობალური ინტერესებისთვის მომუშავე, ახალი კლასის ერთიან მსოფლიო ვალუტაზე (შეიძლება ეს იყოს "გლობო" –"ევროს" ანალოგიურად) გადასვლის საშუალება, რომელიც თავისუფალი იქნება ამჟამინდელი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის (დოლარის) გენეტიკური დეფექტებისგან. დოლარის დეფექტურობა ვლინდება მის გლობალურ არალეგიტიმურობაში, არადემოკრატიულობაში და მის ემისიაზე გარკვეული ფინანსური ჯგუფის პასუხისმგებლობაში. როგორც, ცნობილია 1971 წლიდან გაუქმდა დოლარის მიბმა ოქროს შინაარსზე, რაც უზრუნველყოფილი იყო აშშ-ს ოქროს მარაგით. მას აქეთ, არსებითად, აღარ არსებობს დოლარის ემისიის მოცულობაზე რაიმე კონტროლი – თავად განსაჯეთ, თვით აშშ-ის მთავრობას არა აქვს ეს უფლება. აღნიშნულ უფლებას ფლობს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა (ცენტრალური ბანკი), რომელიც, როგორც კორპორაციული სტრუქტურა, ეკუთვნის ოც კერძო ბანკს. საქმე ისაა, რომ ასეთი ვითარება ხელს აძლევს ფედერალური სარეზერვო სისტემის მესაკუთრეებს, რამაც მათ საშუალება მისცა მინიმუმ 37 წლის განმავლობაში დოლარის მასის მოცულობა გაეზარდა ასჯერ. **აშშ-ის მეპი შეადგენს მსოფლიოს მეპ-ის 20%-ს, ხოლო, თავად აშშ-ი მოიხმარს მსოფლიოში ყოველწლიურად წარმოებული დოვლათის 40%-ს. ეს სხვაობა ვინმემ ხომ უნდა დაფაროს? აი, ეს ვიღაც არის დანარჩენი მსოფლიო, რომელიც არაფრით უზრონველყოფილ „მწვანე ქაღალდებში" იძლევა თავის საქონელს. ცნობილია, რომ თანამედროვე 100 დოლარიანი კუპიურა აშშ-ს უჯდება 2 ცენტი, ანუ 5 000 ჯერ იაფი, იმასთან შედარებით, რაც ასახულია კუპიურაზე. მოკლედ, აშშ-ის მხრიდან მთელ მსოფლიოს მიეწოდება არაფრად ღირებული „მწვანე ქაღალდები", ხოლო იქიდან იგი ღებულობს–სრულფასოვან, 5 000 ჯერ მეტი რეალური ღირებულების საქონელს.**

ANNOTATION

THE WAY FROM LARIZATION OF GEORGIAN EKONOMY TO THE "GLOBO"

Ushangi samadashvili, **Doctor of Economic Science, Professor**

In The work: "The way from larization of Georgian ekonomy To The "Globo" is stated: The analysis of the limiting factors of viability of national currency (Lari); the large attention is given to thouse basic problems, which prevent effective performance of functions of Lari and expansion its distributed areals; the concrete offers and recommendations of their exception are simultaneously stated. In Georgia, dollarization is currently 75%; An equally important issue that determines the high level of dollarization is that the authorized capital of almost all existing commercial banks in Georgia involved foreign capital. In most banks, the share of foreign capital has a controlling stake. In fact, in Georgia, much of the bank's resources are formed by exogenous resources, which largely determines that deposits and loans of commercial character of both natural and legal persons are denominated in dollars. Larizatsiya is a new opportunity for those who want to reduce the risks, as GEL does not depend on exchange rate variability. The analysis of the limiting factors of viability of national currency (Lari); the large attention is given to thouse basic problems, which prevent effective performance of functions of Lari and expansion its distributed areals; the concrete offers and recommendations of their exception are simultaneously stated.